ერთ დროს კი მათ სილამაზე ჰქონდათ გაღმერთებული... ფილოსოფოს პლა-ტონის თქმისა არ იყოს, მათი სიცოცხლე „შვება იყო მშვენიერებაში“.

ყველაფრით სახელოვანი იყო საქართველო... პოეზიით... მუსიკით... მხატ-ვრობით... ხუროთ-მოძღვრებით... ბუნებით... ტურთა ქალწულებით... გულ-კლდო-ვანი ვაჟეკაცობით...

იაზონს ჯერაც არ ჩაჰქრობია გულში მედეას სიყვარული, თუმცა მან უგასა-გისოდ დასაჯა იაზონი უპირობისა და გაარმებისთვის.

ოდისეიც ხშირად ნეტარებით იგონებს კეკლუკ კოლხეთს, საღაც ტურთა ცირცეია. გულ-გაშლილობით და მოყვარულობით გაუმასპინძლდა ღვინის ჭა-ნრეკით....

ისეთი მომხიბლავი იყო ის დასაქცევიო — იტყვის ხოლმე ოდისეი, რომ კინაა ლამ არ დამიმონავა და არ გადამაფიქრებინა ტროასაკენ გალაშქრებაო .

ძალიან ბევრი მოხიბლულია საქართველოს ცისარტყელოვან წარსულით... ეხლა კი რა დაპირისა, რას მიუბინდავს, მიუკინებია?

აღარც კი მეგონა, თუ კვლავ არსებობდით.

საქართველოდან უკანასკნელად ბარათაშვილი გვეწვია, მაგრამ ისიც ვერ იქმნა, ვერ მივიკარეთ და ვერ გავამხიარულეთ.

რამდენჯერა სცადა ბესიქმა, რომ მუხამბაზებითა და შიქასტებით მაინც გადაეყრევინებინა კაეშნის ნისლები, გული მოებრუნებინა, მაგრამ ამაოდ... ოდნავაც ვერ გაალიმა. მარად მარტო იარება დათალხული და სჩივის სულის ობლობას.

— რაცა სთქვით საქართველოს წარსულზე, ხალასი კეშმარიტებაა... მართლაც სახელოვანი იყო ოდესალაც ჩემი სამშობლო .. მაგრამ... მაგრამ... აბა რა არის სრული და უცვლელი ამ ქვეყნად, რომ საქართველოს დღე ყოფილიყო მარად ბრწყინვალე.

მუხთალ ბედს შეჰურდა მისი ბეღნიერება, ამრიონ თვალში და ერთი დღე არ მიუცია მოსვენება.

შავ-უკულმა ის დრო, როდესაც კრწანისის ველზე აფრიალდა შავი დროშა გლისპი ალა-მაპმად-ხანისა...

ბენებით მახინჯი ალა-მაპმად-ხანი ვერ ურიგდებოდა ხალხს კეთილ ზრახვებით ალფროთოვანებულს და ჰნატრობდა მთელი კაცობრიობა ერთს საფლავში მოქცეულიყო, რომ ეთელნა იგი ბინძური ფეხით...

მართლაც დამარცხდა, გაიქელა მის მიერ წმინდა დროშა ქართველი მხედრობისა და „ქართლის ბედიც“ მაშინ გადასწყდა საბოლოოდ...

დაექანა ვაგლახის დაღმართზე და სად, როდის შესწყდება ეს უკუღმართი სრბულა, — არავინ იცის... არავინაა გამკითხავი... არსაიდან სჩანს მუქაფის მიმზლვევი...

ხალხი ჰემინავს გულ-საკლავად, მაგრამ ბრძოლა ვერ მოუხერხებია... დაუდლურებულია მეტის-მეტი ვაებისაგან, გადამღვრძალი....

აფროდიტე უზომოდ დაანალვიანა ამ ამბავმა.

— უნდა უშველოთ საქართველოს, მაგრამ როგორ? ვის მეოხებით?..

მოდი ფერიებს გაუგზავნი, ტკბილი გალობით და მოქნილი ცეკვით გაუქარებენ ნალველს.

— ცრემლებით გათანგულ ხალხის გულს ვერ ჩასწვდება გალობა — მიუგო აკაკიმ.

— თავისიანს გაუგზავნი... თუნდა ბარათაშვილს... და ის წაუძლვეს ბნელ-ში მავალთ ნათელ ქვეყნისკენ.

— ბარათაშვილი თვისი უსასოო ლექსებით უარესად დაანალვლიანებს და დაუჩრდილავს სულს.

— მაშ შოთას გაუგზავნი...

— ვაგლახ!.. შოთა ვეღარ იცნობს აჩრდილთა სამეფოდ ქცეულს მამულს და ვერცა სცემს ნუგეშს.

აფროდიტეს ლამაზმა აზრმა გაუბრწინა სახე და წარმოსთქვა:

— წყვდიადით შესუდრულს საქართველოს ეჭირვება მზიური გალობა... ამ გალობის ეშები შენ ჰარბად გაქვს... მაგრამ ეს არა კმარა... შენი სიმღერები შორს ვერ მიდიან... ყველას ვერა სწვდებიან...

სევდის ორწოხებში მიძინებულთ გამოაღვიძებს მხოლოდ ზარის ძალუმი რეკა.

აი მე შთაგბერ უკვდავების სულს და ის გამოგაკეთებინებს ასეთს საერო ზარს.

ყველაზე მაღალს მთებზე შენ აღმართე სამრეკლო .. მისი მწვერვალი ყველა კუთხიდან უნდა სჩანდეს და მისი გუგუნი ყველას უნდა ესმოდეს.

• გარიერაჟისას თუ მწუხრისას, ყიამით ზამთარში თუ პაპანაქება სიცხეში მარად სამრეკლოსთან ედექი და ჰრეკე სასოებით, სითამამით.

როდესაც შენი გული — ამირანის ცეცხლისაგან აღგზნებული შესძლებს ზარის ხშაში ჩაქსოვას სრულიად ახალ ს, სრულს, პარნასელთათვისაც კი უცხო სიტყვებს და ცეცხლოვან პიმნებს — მაშინ ის ზარი აგუგუნდება უჩვეულოდ... ახმატკბილ-დება იგი ისეთის გრძნებით, რომ სამარეში მესვეტეთა ძვლებიც კი ათრთოლდებიან სიცუცხლის ეშით, უაზროდ უარყოფილ სიყვარულის წყურვილით...

ეს გუგუნ-წკრიალი ზარისა მყის გარდაიქმნებიან ჩიტუნიებად და უივილ-ხივილით მოეფინებიან საქართველოს... საამო ფრთხიალით შესრიალდებიან ქოხ-მახებ-ში, ქარხნებში... ყველგან, საღაც სცხოვრობს, იტანჯება ხალხი და უმღერებენ შენს ომახიანს ლექსებს... შვებით გაუბრწყინებენ ცრემლებით მონისლულს თვალებს...

მხოლოდ ამნაირად გაპხდები მთელი ერის მოზარეთ... ასე შესძლებ მიწვდენას შენი სიტყვისას, შენი ერიც აღსდგება... აყვავილდება...

XIV

აკაკიმ ყურადიღო რჩევა... უმალ შეუდგა საქმეს... ერის გულში აღმართა სამრეკლო... ჩამოასხა უწმინდეს — უშველებელი ზარი და იწყო რეკა.

სასოებით ელოდდა იმ სანატრელს ყამს, როდესაც აუსრულდებოდა გულის მურაზი... მოვიდოდა მისი ოცნება ისეთს ეშებში, ისე ჩააწმანდა, თვისს ჰანგებს.

ზარის გუგუნში, რომ ვარსკვლავთა უუკუნის უნაზესი გამოჰკრთებოდნენ მელოდიები.. მთრთოლვარე ჰანგები გარდიქცეოდნენ ურიცხვ ფრინველთა გუნდად და სტევნა-გალობით გამოაღვიძებდნენ ახალ თავისუფალ ცხოვრების დასაწყობად მტანჯავ ძილს მიცემულს საქართველოს...

XV

ნიაღმაგ აკაკი თვისს საყვარელს სამრეკლოზე იყო გამამხნევებლად მოგუ-
გუნე ზართან.

თუ წინეთ მთებიდან მთებზე კანჯარივით ნავარდობდა, — ახლა ფეხს არ იცვლიდა თვის საყვარელ აღგილიდან.

აკეირვებდა ხალხს აკაკის ასეთი საქართველო, მარათ შწყერვალზე ყოფნა.

მათს გაციებულს სულა და გულს დიადი ნანგრევები არაფერს ეუბნებოდნენ... ვერც ზარის რეკაში ჩაქანვილი აღერსს ჰევდებოდნენ...

იგი ეუვნების უსიამოვნო ქლრიალად მიაჩნდათ.

ბევრი შიშნეულობდა: რას აუჩიმებია უკაცურს აღგილებში ყოფნა? ე მანდ ცოდვით დამძიმებული, ე შმაკის სულ მიყიდული არ იყოს.

ნეტავ ვინ არის, ვისი მოდგმისა?

რა დაპრენის იმ ურთ აღვილას?

რას ჩხირკედელობს იმ სამრეკლოში?

კველას ებადებოდა ეს კითხვები, მაგრამ ერიდებოდნენ: არ გასწყობს ლმერთი, ჩვენც არ გადმოგვაწვეს მაგისი ცოლვაო.

შიგა და შიგ გამოერეოდა თილო-ოროლი გაბეღული და პეტხავდა:

— შენი სახელი?

— ქართლოსის ოცნება.

— გვარი?

— ივერიის აკადემიუმი

— შენი სატრაქო?

— მწოდებარე საქართველო.

ასეთი იყო ხოლმე იყაკის პასუხი, შაგრამ არ ესმოდათ ჩვი ცნობის მოყვარეებს, მხრების აჩერით ჰშორდებოდნენ.

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც იკვლენენ აკაქის ვინაობა და სჯავრობრნენ:

— რატომ ატარებს დროს მცონარობაში ეგ თველ-დამდგარი? დიდი სწავლა
მაინც არ მიეღოს, მთელი დუნია მოვლო, თერგიც კი დალია, რომ უმაღლესი
სწავლა შექმნია და რისთვის? რადა? ნუ თუ იმიტომ, რომ ასე ფუჭად ჩაეტრებინა
ყველათვერი?..

— სწორეთ მაგ დიდი სწავლის ბრალია, ჩემო სოსიელა... აი ჩვენებიანთ კუ-
კულიმ მარტო ორი კლასი გათავა, მაგრამ კაცია და შეედაროს შენი ნაწავლი
აკა... ჯერ ისევ ახალგაზრდაა და უკვე დიდი ბობლია გახდა... სულ ზიზილ-
პიპილა ლილებით აიკრელა მუნდირი... ბოქაული, მღვდელი, ყველა გამვლელი
„ჩინოვნიკი“ მაგასთან უნდა გაჩერდეს... „დედამ რომ შვილი გაზარდოს, მაგრე
კუკულოსთანა“... აკა... კი... აფსუს, რა ტყუილად ჰკარგავს სწავლას ..

ასე ბკობდნენ აკაკიზე...

რა გაეწყობოდა...

უნდა ეომინა. უნდა ელოდნა ხალხის გამოფხიზლების ეამისათვის...

XVI

ახ, ეს გულ-გრილობა, ეს უცნაური, გამოუცვლელი გულ-გრილობა ხალხისა.
ყრუს არ ესმის მუსიკის წარმტაცი მელოდიები და მისთვისა იგი საცოდავი...
ხალხს არ ესმის მის ამაგდართა სიტყვა და მისთვისა იგი ბეხავი.

რა არის ქართველი, სად არის ქართველი?

გაეხმაურა განა იგი?

გაიზიარა განა მგოსნის ხეაშიადი, გულის ტკივილი?..

და ეს ყრუ, ბნელი ხალხია ტურთა საქართველოს მკვიდრს რომ შეადგენს.

ეს დაყურსებულ-გავერანებული კუთხეა, რომელიც ოდესლაც მდიდარი იყო
და ოქროს ვერძისთვის ეშურებოდნენ მისკნ უცხოელნი.

დღეს მონობის ცრემლებით დაცრიატებულია ქართველთ თვალები, მაგრამ
აღრევ იქნიან გამოიყრებოდნენ გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების, პეტრი-
წის და ეფრემ-მცირის, ბაგრატ-მესამის და დავით ალმაშენებელის, შოთას და თა-
მარის ამაყი თვალები.

იმ თვალებმა აახომლეს საქართველოს კაზე შვიდი მნათობი. მათმა ცხოველ
კვესებამ ააყვავა საქართველოს შემოქმედების ბალნარში უკვდავ ლიმილის ყვავი:
ლები ..

საღაა დღეს ის კვესება?

რად დამსგავსებია დღევანდელ ქართველთა თვალნი იმ გვირაბს, საიდანაც
გამოქშუტუნებს არარაობის ქარალი ქარი.

რა დაგემართა, ქართველო?

ვით დაუძლურდი, ვით დაგლახაკდი?..

წინეთ ჰგვანდი წყაროს, რომელიც საამო ჩუხჩუხით ამხნევებს დავრდომილს.
ეხლა რას დამსგავსებიხარ?

რად დამწყდარა წყარო სულის მაოხი?..

ეჭ, ხალხო, ხალხო, საცოდავო ხალხო საქართველოსავ!

ორმოცი წელია, რაც თავს გევლები, გელოლიავები და მანც ვერ შევძლე
შენი გამოლვიდება.

რა იქმნა შენი სული, შენი ნიათი? რატომ არ ღვივის შენში ღველფი მე-
ბრძოლის?

რად არ გიტაცებს ამირანის ცეცხლი?

განა საუკუნეთა განმავლობაში მისთვის ინახა უქრობელად, ორმ ზურგი აქ-
ციო, უგულებელ ჰყო?

XVII

გინახნიათ სპეკალი ცრემლების გამომეონი ტინის ტირილი?

ვისაც უვლია ულრანს ტყეებში,—მას ეცოდინება, თუ რა საამოა მისი შეხვედრა.

სიარულით მუხლებ მოკვეთილი, სიცხისაგან ენა წამოვარდნილი ხშირად მი-
ვდგომივარ ასეთს ტინს და დავმტკბარებარ სევდა ნარევი სიამით.

აბა კარგად დააკვირდით?

გაუთავებელ ჟამთა სვლაში მომსკდარ ნიალვრისაგან მთლად ჩამორეცხილა, არა
შემრჩენია რა გარდა ცრემლებისა და სტირის იგი ალმასის წვეთებით .. სტირის...

ნალველსა გფენთ იგი, მაგრამ შვების მომნიკებელიცა... თქვენ ეწაფებით
მას და სვამთ ხარბად, ალტაცებით...

რომელი შარბათი გაგრძნობინებთ ამისთანა სიამეს?

სწორეთ ასეთია აკაკი.

საქართველოს უკვდავი ტინია აკაკის გული...

ვით შეედაროს მისს წყაროს მოსეს კვერთხით აღმომსკდარი შადრევანი?

უბადლოა აკაკის გული პოეზიის წყაროდ გადაქცეული და ნეტავი მათ, ვინც
მას დაეწაფება:

უფრო ბეღნიერია აკაკი...

რა უყოთ, თუ გულ-ქვად ეკიდებიან... ირაოს ეძახიან...

აღრეთუ გვიან მოვლენ გონს და წარემართებიან მისს წყაროსკენ საზიარებლად.

XVIII

გადიოდა დრო. ტაატით მიდიოდა საქართველოს გამობრუნების საქმე. ძა-
ლუმად არ გაისმოდა მტრის თვალის დამყენებელი ჩქეფა-ღულილი საზოგადოე-
ბრივობისა.

შეოსანი ხნიერდებოდა, სიბერის დილა უთენდებოდა... არც ეს აკრთობდა.. ვით შევტევნის ახალ საქმის მოციქულს, გულს არ იტეხდა, იარაღს არა ჰყრიდა...

სწამდა, რომ თუ ჩეენი ცხოვრება ზემოდან ასე მღორე, უსახო იყო, გულის სილრმეში სწარმოებდა მოძრაობა... მართალია ნელი, შეუმჩნეველი, მაგრამ უეკველი, აზვირთების, ამთაგორების თავმდები...

XIX

ერთხელ, როდესაც მგოსანი თავის სამრეკლოზე იდგა და გულ მოხვარსლული გაჰყურებდა სამშობლოს, შემოესმა ნელი, მწუხრისავით გაურკვეველი ბგერანი.

რა იყო, რა წკრიალებდა ასე იდუმალად?

ცრემლები, თუ ჰანგები?

მალე იგინი ოდნავ ამაღლლენ და დაემსგავსნენ სუმბულთა კვნესას, რომელთაც ავ-ზნიანმა ლამეზ არ დააკალა განთიადის ხილვა და მოაზრო უწყალოდ. ეს კვნესა ნელ-ნელა გაიზარდა და ახლა დაემსგავსა ლრმა, კაეშნიან ლილინს იმ პატიმრისას, რომელიც შევტევნის მტრედის ფერცაში მონავარდე ტოროლის და შენატრის უღვთოდ შებორკილი.

აი თან და თან დასცხრა ლილინ-ქვითინი ცრემლების ჰანგებისა... როგორც გარიერაჟი კუნაპეტ ლამეს, ისე შეეპარა საგოდებელს იმედიანი, ლიმ-ლამიანი ხმები, მიიღო სასოებიანი იერი და ლალ, ჩანჩქერსავით კისეასა მოძახილად გარდაიქცა .. მოახიანად მოისმა აკრიმანჭულებლი, ცქრიალა, იმედიანი სიმღერა...

ძნელი იყო გარჩევა, ათიოდე კაცი მღეროდა, თუ ასი... ათასი... აურაცხველი.

ის ხმები, ძალ-გულოვანი ხმები ფრთებს ასხავდნენ აკაკის. ფაუსტივით აჭაბუკებდნენ. მიჰყავდათ აკაკი ოცნების სერებზე, აყვავებულ საქართველოსკენ.

ცის ლაჟვარდში, მწვანეთ მოხასხასე წალკოტში, ნაკადთ რაკრაკში—უცელვან და უცელაფერში აღბეჭდილიყო მისი ოცნება და ფირუზი თვალებით ეღიმებოდა.

არა სწამდა აკაკის ეს ბედნიერება... ეშინოდა ძილში არა ყოფილიყო და არ გამოჰვიდებოდა უხამს სინამდვილის აკლდამებში...

აბა როგორ დაეჯერებინა, რომ მისი ოცნება ასე მალე განხორციელდებოდა და ასე მალე მოესწრებოდა საქართველოს მკვდრეთით აღდგომას.

რაღაც ძალა ჩასახოდა, რომ ზღვათ-ოდენ ხალხის გული, ასე რომ ალალებულია, ის იმიტომ, რომ შიგ ამირანის ცეცხლი აკვესებულა.. ის ცეცხლი ამღერებს ასე თამამად, ასე გულიანად.

თვით ამირანი განთავისუფლებულა, ჩამოსულა ხალხში და იგია ყველის თვალებიდან ასე მალხაზად გაღმომზირალი.

ღმერთო, რა ძნელია მარად მგოდებელისთვის ასეთი ნეტირების დაჯერება...
 „კავკასიის მაღალ-ქედზე
 მიჯაჭვული ამირანი,
 იყო მთელი საქართველო
 და მტრები კი ყვავ-ყორანი“.

ჰგუგუნებდა მორჭებით სიმღერა.

იყო დამონებული, ყვავ-ყორნებისგან თვალებ ამოხვრეპილი ამირანი და დღეს იგი თავისუფალია...

ნუ თუ, ნუ თუ ეს მართალია?.. ნუ თუ ამ ძეირფასს სიტყვებს მღერის ხალხი?.. ნუ თუ ხალხი მღერის ამირანის ცეცხლოვან გრძნობით? ნუ თუ აღარ არ-სებობს ამირანის გოლგოთა და მისი ჯაჭვები...

სიზმარში ხომ არაა?

ქრელი ოცნება ხომ არ ატყუებს...

საწყალი აკაკი, საწყალი... ისე წაუწყმინდა სასოება სამშობლოს საუკუნოებრივ მონობამ, რომ ეძნელება ქეშმარიტების დაჯერება—უხალა, მგოსანო, ყველაფერი ეს, ცხადი...

საქართველოს ოცნება — ამირანს მართლა აუშვია თავი. მოპეტომია ბარათა-შვილის მერანს, ძოწეული წამოუსხამს, მიჭრილა ხალხთან, ჩაჭრუტებია გულში და აუზვავებია.

XX

ზიმზიმებს მთელი ქვეყანა ფაფარ აყრილი ხალხისაგან ახმაურებული.

აღტაცებით შეჰყურებენ მშობლიურს მთებს, რომელზედაც გადარკალებულია ამირანის ცეცხლი წარმტაც ცისარტყელად აფერადებული.

ძველად, ქრისტიანობის გარიერაესისას კონსტანტინე მეფეს გამოესახა ცაზე ცეცხლის ჯვარი და მოესმა იღუმალი ხმა: ამით იმარჯვებდეო.

საქართველოს სიმბოლო-ჯვარი ამირანის ცეცხლია ..

იმ ცეცხლით გამოვა საქართველო გამარჯვებული.

აკაკიმ იმიტომ გაიმწარა სიცოცხლე, რომ ეს ცეცხლი ჰქონდა საშოგარი.

მოიპოვა კიდევ.

ახლა ხალხს ეკუთვნის სიტყვა. მასზეა დამოკიდებული: შეინახავს სამშობლოს კერაზე, ვით წმინდა ვესტის ცეცხლს, თუ ჩაქრობინებს უხანო ქარსა.

ფრთხილად, მაშერალნო, ფრთხილად, ბეღნიერება სათუთა. ნაზია, იშვიათია.. არ გაგისხლტეს ხელიდან. ისევ არ დაჰკარგო, კვლავ არ ამოგილამდეს ნეტარებით გაბრწყინებული თვალები.

XXI

ზამთრის პირია, უინულლიანი ნისლები სამარის სიზმრებივიც მოწყენილად მისურავენ და აბნელებენ სივრცეს. ამგლოვიარებენ ქვეყანას.

ხეთა გახოლოდშობილებული ტოტები ავადმყოფის ტამრებივით საკოლავად კახცახებენ და თრთიან, კვნესიან და იღველფებიან.

ტიალი ქარი მსუნაგ მგელსავით დაძრწის მოშუშულს მდელოზე, სიკვდილის ოსანნას უმღერის მჟყნარს ფოთლებს და მიარბეინებს კყანტრუმპეში დასამარხავად.

ვერანა ზამთარია ბუნებაში, მაგრამ ხალხის თვალებში ამირანის ცეცხლი გუზ-გუზებს და იმიტომ არავისა ჰფლობს ზამთრის მოწყენა.

ამიტომაა, რომ ყველას გულში გაზაფხულია, ზეიმი, მეჯლისი.

ყველას სული განთიადის სხივთა ჩქერითაა ატევრებული და ვარდისფერ ალამ აფრიკალებულს ამოუკისკასებია ცისკროვანი მელოდიები.

ამ მელოდიებში, ვით ლაუვარდზე განთიადის სხივები, ისეა ათვალმარგალიტებული აკაკის ლექსები. ორმოცი წლის განმავლობაში ნაკვეთი სიმღერები.

განათდა, გაბრწყინდა აკაკის სახე.

მან იცნო მედიდური სიმღერები და ალეგზნო მოხუცობისაგან დაცრიატებული თვალები ..

მისს ლექსებს მღეროდა ხალხი და მას იმეორებდნენ მთები, წყარონი, ყვავილები, ფრთოსნები... მთელი ბუნება.

ყველგან ამირან — აკაკის სიმღერა გაისმოდა.

მათი ოცნება, მათი სული, მათი ლიმილი გადაქცეულიყო ფირუზ ტალღებად, წითელ იაგუნდის სხივებად და ახმატკბილებული ეფინებოდა სამშობლო მხარეს.

და ეს ლიმილი, ეს სხივოსნობა ამირან-აკაკისა ისე ჰშევნოდა მათს მამულს, ვით გარიცრაუისას ტუჩ-გაპობილს ვარდს ცის ლალის ნამცვრევი.

ამ მუსიკაში, სიცოცხლით მჩქეფ რითმში — სხვისი ბერანიც ერივნენ.

ეს წინაპართა ხმები იყო

ისინი ჩასწმახოდნენ მათ და ერთად მღეროდნენ სიმღერას აღორძინებისას.

დიახ, არ მომკვდარიყვნენ ცისკროვან წარსულის პნევმები.

დაღუმებულიყვნენ მხოლოდ და ახლა იღვიძებდნენ საუკუნეთა ბრძმედში გამოწრობილ — გაალმასებულნი.

შურისძიების კვესებით ჰეუგუნებდა მედიდური სიმღერა.

ასე ეგონა აკაკის, ვითომ ის იჯდა ხალხის გულში ხმატკბილ ქნარად გადაჭცეული და იქიდან იძახდა:

ყვავილები, რაც შეიძლება მეტი ყვავილები, ყვავილები მოიტათ, რომ ხალხის გმირებს შუბლი შეუმჯო.

აგრე, აგრე მოდიან, იგინი მკვდრეთით აღმდგარნი, მოდიან იგინი და მოაზნევენ სიხარულის ვარსკვლავებს, სიყვარულის მზის მარგალიტებს.

ღმერთებო, ელლინთა ღმერთებო! თქვენ ამაყობთ ბედნიერებით. თავი მოგაქვთ პირველთა შორის, მაგრამ სცდებით სასტიკად.

თქვენ სრულებით არ იცით და ვერ განიცდით იმ ბედნიერებას, რომელც ეწვია აკაკის ერსა.

თქვენ დაიხოცენით, საძველნაროდ გაჭხდით ღმერთებო .. აკაკის ერმა კი გამოილვიძა უკვდავ, ყვავილოვან ცხოვრების დასაწყობად.

XXII

ბედნიერი წუთი დამდგარიყო საქართველოსთვის, მაგრამ უფრო წარმტაცი, ოქროს უამი—მომავალში მოელოდა.

გამოლვიძებული იყო, მართალია, ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი, მაგრამ იყო ჯერ ისევ კუთხეები, სადაც ეძინათ მონობის ძილით.

როგორც ამომავალი მზე პირველად მწვერვალებს გაბრწყინებს ხოლმე, ისე აკაკის ენა-მზეობა პირველად ერის მოწინავეებს მოეფრქვია.

ისინი უხვად სტკბებოდნენ და სთბებოდნენ მზის კაშაშით, მაგრამ იყო ხევ-ხუვები, სადაც კვლავ წყვდიადი ჩამოწოლილიყო მძიმე ლოდებად.

საჭიროა მათი გაშუქებაც. თუ მთელი ერი თავს დაახწევს ვაგლახის უფსკრულებს და იმედის მწვერვალებს მოექცევა—მაშინ აღარა უშავს რა, ველარავინ გაპბედავს მის შებრძოლებას.

საქართველოს აღარ გაუელვებს საბედისწერო კრწანისის ველის განმეორების აჩრდილი, თუ კი მარად ეხსომება, რომ ყოველ-ქართველის ერთად-ერთი მოვალეობაა—ზრუნვა დამონებულ მოძმეთა ფეხზე წამოსაყენებლად.

როგორ გამოაფხიზლოს აკაკი შიძინებული, საცა მისმა ლექსებშა ვერ მიაღწიეს.

ამას შესძლებს მისი სამრეკლო...:

უნდა დაიგუგუნოს მისმა ზარმა...

ბევრს რასმეს ელირსა აკაკი: უკანასკნელ მიზნის განხორციელებასაც უნდა ელირსოს. უნდა დაიგუგუნოს ზარმა და ჩიტუნიებად გარდიქცნენ მისი ლექსები.

ის ჩიორები გაიქროლებენ ორწოხებისკენ და ტკბილი ზევსურით გამოალვი-ძებენ სევდის ძილ-ქუშ დაწოლილებს.

XXIII

ჩի! . ყური დაუგდეთ, დაუგდეთ აბა კარგად ყური, ირეკება, მძლავრად ირე-
კება აკაკის სამრეკლოზე ზარი და ულეველ ტალღებად ეფინება ქვეყანას.

— ნაუ .. ნაუ.. — გუგუნებს ის და კისკასად მისრიალებენ ჰანგთა
მერცხლები შორით-შორს — ნაპრალ ხევ-ხუვებისკენ

სასწაული ხდება.

პარტახად ქცეული მხარე ედემად იფურჩქნება.

აკაკი-ამირანის სიცილ-ქათქათი სწვდება ნანგრევების ყორეებად გადაქცეულ
ციხე-კოშკებს და ხელ-ახლა აშენებს...

აკაკი-ამირანის სიყვარულს ტალღები ხვდებიან შემუსრულ, მიმქრალ დიდე-
ბის ნაშთებს, ძეგლ-ქანდაკებებს და იგინიც ცოცხლდებიან... კვლავ იმოსებიან
აღრინდულს შარავანდედით.

ის ხმები ყველგან შიძქრიან. კუთხეს არ სტოვებენ უნახველად.

აი მთის ნიავივით გაიჭრნენ იგინი მინდვრად და ალერსით მოევლნენ ყელზე
მუშაობისაგან ოფლში გაწურულს გლეხებს.

აი აღმოსავლეთის მიჯნურსავით შმაგად შეიჭრნენ იგინი ქარხანა-ქოხმახებში
და ეშხიანად გადაჰკოცნეს მუშები...

ოო, ეს კოცნა, ეს ამბორი სიყვარულისა.

მხოლოდ ერის დიად სწრაფვას უკვდავებისადმი შეეძლო ასეთი ლვთაებრივი
კოცნის შექმნა...

რა უბადებუკი მოსჩანს მასთან აშიყ-მაშიყთა ცივი მტლაშა-მტლუში.

საქართველოს რომ სრულებით არა სცოდნოდა უმწიკვლო კოცნა, ამ ძეირ-
ფასს წუთს უკველად გამოიგონებდა.

უკელა გამოფენილიყო გარეთ და ჰკოცნიდა ერთმანეთს თაუდავიწყებით.

კოცნათაგან შენდებოდა ის ციხებურჯები, რომელზედაც დაიმსხვრევიან ძალ-
მომრეობის ტალღები, თუ ძევლებურად მოლექართქაფლნენ წასალეკავად.

უყურებდა აკაკი ამ სურათს და მოაგონდა დამონებული საქართველო, რო-
დესაც არა მკითხე მმართველებად მოვლინებოდნენ ვიგინდარა ლიტვინოვები და
ჰლახავდნენ ერის ღირსებას.

„საქართველოსთვის მამულის სიყვარული უცხო რამ არის... ასე გასინჯეთ
თვით სამშობლოს სახელიც კი არ მოიპოვება ამ საცოდავ ენაშიო“.

ასე სისინებდნენ ეს სულ-ქორაოტები ყველგან და ამასვე სწერდნენ თვისს
ხელმწიფებს, რომ მიწასთან გაეთანასწორებინათ ქვეყანა ათვალისწინებული,

ნეტავი წამოეხედნა ახლა სამარიდან და თვალი მოეკრა ერის ღრეობისა-
თვის, რომ შურით გულ-დაღმა გადაბრუნებულიყვნენ მისი ძვლები.

რა ამოახედებდა მას, როდესაც ცოცხალი მტერიც კი ვეღარ უძლებდა შერცხვენას. იუდასავით დაძრწოდა იგი და ეძებდა თოკს თავის ჩამოსახრჩობად, მაგრამ ამაოდ. არავის სურდა თოკის გაუწმინდურება და იყო სამარკვეინო ყოფაში.

XXIV

ვისაც თვისი ყრმობის გარეურაჟისას უნახნია პირველი ტრფობის შევარდის-ფერებული სიზმარი, ვისაც წარმოუდგენია თავი თვისი იმ გრძნეულ შეფეთ, რომლის თვითეულს გაღიმებაზე ვარსკვლავებით იქნება ცა, ფრთოსანთა ჭიკვით ცოცხლდება ლაჟვარდი, ვარდ-ყვავილებით იქმება წალკოტი და სიყვარულის ეშით იღზნებიან გულები,—მხოლოდ ის იგრძნობს და ეზიარება განახლებულ ცხოვრებისათვის თექა გადაშლილ საქართველოს შშვენიერებას.

ოუნებობდა აკაკი ასეთი სიზმრის განხორციელებაზე და ელიტა კიდევ სხვა რალა უნდოდა?

მისთვის ალარ არსებობდა სიმძიმილი და ნალველი.

მისი სახე უკვდავების შუქით გაბრწყინებულიყო და მისი გული აპირთავებულიყო იმ სიყვარულის ურემლებით, რომელიც ჯადოსანი ძახილით მარად მომწოდებელი იქნებიან მშვენიერების და სრულების ახალ-ახალ მწვერვალებისაკენ.

6. ლორთქიფანიე

ჭ ა მ თ ა ს ი ა ვ ე¹⁾

(რომანის ესკიზი)

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

3

— ბატონი, აი ბიჭები როტავენ... იმ კედაროდან რაცხა ხმაურობა იყოო... ნეტავი აგიაშვილის კაცებს ხომ არ დაცემიან?

იულონმა ვაყა ცხენივით დაცქვიტა ყურები. თვით ყნოსვამ აგრძნობინა ნა-დირის სიახლოვე.

ჩაფიქრდა.

შარა გზით დიდ ხანს არ უვლიათ — იულონმა ცხენი ბილიკზე გადაიყვანა.

— ბატონი, თუ შინ მიბრძანდები, ძველი გზით ჯობია — მორიდებით მოახსე-ნა თედომ.

— მთვარე მაღე ჩავა და სადმე გადავეჩებებით, ამ სულელს ცხენი ქე გოუ-ფუჭებია... კოჭლობს და გაძვალ-ტყავებულია — იულონმა წყრომით გადახედა მხლე-ბელს — ისევ მწიგნობართან გავითენოთ ლამე და ხვალ წირვის გამოსვლამდე ქე მი-ვალთ შინ.

— თქვენი ნებაა... —

— ბიჭო, ე, რო გეუბნებოდი, მზეთ-უნახავებს ვნახავთქვა, სწორეთ იშ გზაზე გევივლით — ჩაუფუჩუნა ერთმა მხლებელმა მეორეს.

— ვინ მზეთუნახავია, რას ბოდავ?

— ა, რო გეუბნებოდი მივეპაროთ-თქვა...

— შე ჩიჩია შენ, სახე მაინც გქონდეს ადამიანის! ვინ მეგეკარება, რომ დეი-წყებ ლაქლაქს?

— უი შე კაცო, ჩემისთანა ყაძახის შვილის კი არა...

— კაი ყველაფერი, მარა ბატონი რას გვეტყვის? — ბევრმა ლაპარაკმა ეს ბი-ჭიც ხურუშე მოიყვანა.

1). ინილე „ცისარტყელა“ № 8.

— რას გვეტყვის და არაფერს .. მწიგნობრისას გევითენოთო რო თქვა, ვინ იცის, იქნებ, მოიმიზეზა და ნამდვილათ კი ეძებდეს სხვისი ნანადირევის აკრეფას... თუ ღმერთი გაწყრა და პირტაპირ წევიდა, იქიდან გამევიპაროთ, ხვალ დილას ქე გავყვებით უკან, რავაც ახლა მივყვებით... მერე თუ გინდა თითონ მე უამბობ, და იცინებს ბევრს...

— ვა რომ გუნებაზე არ იქნეს და მოგვცხოს ორივეს!.. შენ არ ჩავარდნილ-ხარ მგონია ხელში, გულმოსული რომაა მაშინ...

— ე, ბიჭო, კვამლი რო მოდის იმათი ეზოდანაა... ხეები ფარავს... იმე, იმე, ეს რა ამბავია? — გაუკვირდა ბიჭს, — იმე რავა გადაბუგულა ყველაფერი... არც კაცი მოჩანს და არც საქონელი.

გაკვირვებული ბატონი და მხლებლები ერთი გორაკიდან მეორე გორაკისაკენ იცქირებოდენ.

— წევიდეთ ერთი ვნახოთ რა მოხდა? — ბრძანა იულონმა, თითქოს მარტო ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება სურსო, მაგრამ მხლებლებმა ბატონის გუ-ლის-ნადები, იაზრეს:

— აკი გითხარი თითონ შეუხვევს-თქვა! — ჩუმათ შენიშნა ერთმა.

— ეი, არავინ ხართ ცოცხალი? გამეიხედეთ... ჯერ ერთი ქალი გამოჩნდა, მერე მეორე .. — ბუჩქებში იმალებოდენ... ეშინოდათ... რცხვენოდათ... ერიდე-ბოდენ უცხო კაცებს...

— რა მოხდა რა ამბავია?

— დაგვეცენ, დაგვწვეს, დაგვხოცეს...

— დალაგებით თქვი, დაია, რა იყო? — დაეკითხა ხელმეორეთ იულონი და ცხენიდან ჩამოხტა. — თუ კარგი ვერაფერი მოგიხერხეთ, ცუდი მაინც არ გვინდა თქვენთვის...

— მოახსენე, მეფის ტოლი კაცია --- შეგიბრალებსთ .. — გაათამამა თედომ...

— საზღვრებზე მუდამ ჩხუბი გვქონდა მესხთან, ბატონო, და...

— საზღვრებს მიზეზობდენ მესხები, თვარა ამ გლეხის დაფლობა სურდათ, შენი ჭირიმე — ჩაერია ლაპარაკში თედო, რომ საგანი კარგად გამოერკვია — ესენი წინათ აგიაშვილის ყოფილან, მარა ცხონებულ გაიოზ. აგიაშვილს გაუაზატებია... მესხი კი თავს არ ანებებდა.

— მერე? .. — ისევ დაეკითხა იულონი ქალებს.

— დღეს საწყალ ჩემს ძმას საქონელი გაედენა... დაიჭირეს, ჩვენს აღილებში ბალახობსო... მამა გამოსახსნელათ გეიძცა... ჩვენც მივყევით, ერთი გაშობა ქე გა-

ვაშობიეთ, მარა მეეხმარენ სახლიდან, პატარა ბიჭი მოჰკულეს და მამა დაჭრილი წეიყვანეს... ჩვენ ძლივს დოუძვერით ხელიდან...

— კარგათ მოუწყვიათ საქმე — განმარტა თედომ ქალის სიტყვები — ბიჭის მოკვლით ოჯახს ბურჯი გამოაცალეს, ბებერი მაინც მოკვდება და ეს ქალები საღმე წავლენ, ამა რას იზამენ?..

— გეეთხოვებია დალოცვილს ამდენს ხანს — შენიშნა იულონმა.

„წაუწყდა სული“ — გაიფიქრა უნცროსმა ქალმა, რომელსაც ცხოვრების უინი უფრო ძლიერ ჰქონდა გალვიძებული, მაგრამ არაფერი სთქვა და თავი მეორე დაზე უფრო დაბლა დახარა...

იულონი ჩაციქრდა. დუმილი უხერხული იყო, ფიქრსაც კი უშლიდა, ამიტომ სთქა:

— ერთი ჩემი დაიი წყალს ვერ მიშოვი?

— ახლავე, ბატონო. დები გაიქცენ.

იულონი ქვაზე ჩამოჯდა, შუბლზე ხელი გადისვა, ფეხი-ფეხზე გადიდვა და მიიხედ-მოიხედა.

ქუთაისის ახლოს... ორი მოსახლე... შეპატივებულ... — უსრიალებდა თავში აზრი იულონს — ვსინჯოთ... ცდა ბედის მონახვერეა.

— კაცი ამას ქვია! — შენიშნა უცროსმა.

— ვაი შე, საცოდავო, მუდამ მაგი გახსოვს.

— კაი კია და...

— კაი თვარა შენთვისაა შენმამზემ! — თითქოს შეეხარბა, რომ მალული სურვილის გამოთქმა დამ მოასწრო, გულის გასახეთქათ უპასუხა უფროსმა.

— კაი გოგოები კა! — თქვა იულონმა და გადახედა რევაზსა და ხოსიკას.

— კაი მოგცეს ღმერთმა! — კვერი დაუკრა თედომ.

— რავა დარჩენ ამდენს ხანს... ნებით თუ არა ძალით მაინც უნდა შეერთოთ... ვაუკაცები აღარ არიან, მგონი, ამ ქვეყანას.

— ღვთის წინაშე ცოდვაც კია მათი უქმროთ დატოვება, — და ეხლა თედომ გადახედა ბიჭებს.

ბიჭებმაც თავი ჩაღუნეს და ნელ-ნელა იქით დადგენ, საიდანაც ქალები უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ქალებმა სუფთა დოქით წყალი მოაჩდენინეს.

იულონმა მოიყუდა დოქი, ხარბათ დალია — „აგაშენა ღმერთმაო“ ქუთხრა და დოქი თედოს გადასცა.

— აბა, შეტი არ მცალია... ესაა ღამდება... ხოსიკა, რევაზა, თქვენ დარჩით
და უპატრონეთ ქალებს... რაც აქვთ, ის მაინც არ წაართვან... თელო, ერთი თო-
ფი დაუტოვე რევაზას.—არ დაკარგო, ბიჭო...—ხოსიკა, შენ ხანჯალიკ გვიყოფა.

— ერთი თოფი ჩვენც გვაქ—ჩაიბუტბულა უცროსმა ქალმა.

— გაჩუმდი, შე სულელო--წაუფუჩუნა რევაზამ, მაგრამ გვიან იყმ.

-- ეჭ., მცოდნოდა აღარ დაგიტოვებდით ჩემ თოფს, მარა რაც ნათქვამია გა-
თავებულია... ხეალ ჩამოვივლი და იქნებ რამე დაგარიგოთ.

— გაკურთხოს ღმერთმა გულკეთილობისათვის... მადლი უთხარით ბატონს, მადლი — თედო, როგორც კარგი დალალი, არიგებდა ქალებს...

კმაღლობთ, ბატონი, ლმერთმა გადაგიხადოს ..

იულონი შემცირებული ამაღით გაუდგა გზას ..

— რა ამბავი ხდება ამ ჩვენს ქვეყანაში — დაიწყო იულონმა მცირე სიჩუმის ჟემდებ.

— რა ხდება და კურა უნდა ჰქონდეს კაცი...

— რავა და შე დალოცვილო ამდენ მგლებში რომ არ იააყენებდენ ჭიატათ, ვერ მიხვდა?.. სანამ ჯანი ჰქონდა და ლონე, კიდო ჰო, მარა, რომ დაბერდა. მეენახა სიძეები და ჩეუსიძეებია. « ცუდი არავინ იყაღრა, კარგს ხელში არაფერი მისურა და ცარიელ ტარიელ ქალს ვინ ოხერი შეირთავდა?.. გლეხებისგან დაწყებული მირონცხებულ მეფემდის ყველას სჭირია ძლიერი მფარველი, მოყვარე და ნათესავი.

— ესაა ჩემი უბედურება, რომ არც ნათესავი მყავს და მოყვარე საიმედო, გაჭირვების ღრმს რომ მანუგაშოს, წელში გამამაგროს... დედულეთი სჯობია სხვებს, მაგრამ ისინიც დაუძლურებული არიან და შორს იმყოფებიან. . ცოლოური კი ღმერთმა შეინახოს! — გაიფიქრა იულონმა და, ჩათა უსიამო ფიქრებიდან თავი დაეღწია, ხმა-მალლა ჰყითხა თედოს:

— ვაუისთვის უნდოდა უსათუოდ ყველაფერი.

— იმას ვამბობ სწორეთა... სულ წაწყმედილმა ე ქალები სწორეთ ვაუს გა-
დაატანა... არ გაათხოვა—ოჯახს მომვლელი დედაკაცი უნდაო და ახლა რაღას
იზამს?

-- ასეა, ძმაო, ყველას უნდა გვარი არ დეიკარგოს, ოჯახის კურა არ გაა-
ცივოს.

— შე მამა ცხონებულო, რომელი ბაგრატოვანი და ორბელიანი მავია; რა მაგის საქმეა გვარის ამპარტავნება... კამს, სყამს და უყოფა ჩემგვარ კაცს... ვინზე

ძლიერი კაცისთვის თავი დევქრა, ორი ბიჭი ჩეცინებია — ამ სიბერის დღეს ტკბილ ძილში გაატარებდა, პატარა ვაჟიშვილიც ცოცხალი ეყოლებოდა და კარ-მიდამი მთელი ექნებოდა.

— შენ, რავაც გეტყობა, თვითონ გეჭირა თვალი მაგ გოგოებზე?

— შენი რისხვა არ მომეტეს!

— არა! აჟ! აბა, ჩაზე იქნებოდი ასე გაბრაზებული?

— ბატონი არ მომიკვდეს... პატარა ბიჭი რომ ვიყავი, მაშინ კი გადმომექა ფინანსთა მინისტრის მოურავდა.

— რაო? სად გნახა?

— ქალბატონმა გამავზავნა სააღდგომოთ კვერცხებისთვის... იქ ძან მაგარი კვერცხი იცის, დაკირულივითაა და თქვენთვის უნდოდა.

— პო, ჩემი თედღა, როცა პატარა იყავი — შეგახუმრეს; როცა წამოიზარდე — უარი გითხრეს, და როცა ჩემთან დაწინაურდი, მაშინ ქე შეგეხვეწენ, მარა. შენ ალარ იყადრე... ასე იქნებოდა... და ახლა უცოლლშვილოთ, უსახლ-კაროთ რომ რჩები -- ბუზლუნებ, გინდა ამოიყარო ჯავრი...

- ეშმაკია თუ საიდან გაიგო? — გაიტიქრა თედორმ.

— აბა დლევანდელ ამბავზე კრინტი არ დასძრათ...

— რავა გეკაღრება, ბატონი? — უპასუხეს მხლებლებმა და გულში კი გაიფექტეს: უყურე, ხოსიას რა ბეჭი ეწვია?!

მეფის სასახლეს ჩამოშორებული, მეგობარ-ნათესავებს მოკლებული იტია, თავისის მოხუცი ცოლით წლობით არ გადადიოდა ჭიშარზე, ყურადღებას არ აქციებდა, რომ ყმა გლეხობა მოვალეობას აღარ ასრულებდა, რომ დიდი ნაწილი მისი მამულისა მეზობლებმა მიითვისეს და კმაყოფილდებოდა, თუ დრო გამოშვებით იშვიიდა დაობებულ ხელთნაწერს და გაყვითლებულ ფურცელზე ერთ საყურადღებო ცნობას მაინც ამოიყითხავდა.

იულონი და მისი მხლებელი ოთახში შევიდენ.—ყველაფერი ღარიბული იყო: კუთხეში ტახტზე გაფენილი უზეწრო საბანი და ლები... სასთუმლათ უნაგირის ბალიში; კედელზე თარო წიგნებით; შეა ოთახში მაღალი სკამი, მის წინ მაღალივე თავდაქანებული საწერი მაგიდა და ზედ ჩამოკიდებულ მელნით სავსე ხარის რქა; გრძელი, სუფრა კედელზე მიბჯენილ სკამ-ლოგინის წინ და კიდევ ერთია სკამი.

— მობრძანდი, მობრძანდი, თქვენი სახლია — ხელ გაშლით მიეგება სტუმარს ოტია.

— მშენდობა ამ სახლს და პატივი და თაყვანისცემა კეთილშობილ მასპინძელს — კრძალვით უპასუხა იულონმა.

მსახურმა ორივ მხრით გატენილი აბგა სუფრაზე დადგა.

— ქალალდი ვიშოვე და მოგართვი, ვიცი როგორც საჭიროებთ.

მოხუცი მოუთმენლათ მივარდა აბგას, გადაათვალიერა ქალალდი და უთხრა:

— აი მეფური საჩუქარი! დაბრძანდი! ეხლავე სამუდამიათ უნდა მოვიბოდიშო, რომ შესაფერისათ ვერ შეგხვდები, მაგრამ რაც მაქვს გულწრფელათ მსურს გაუზიარო კეთილ სტუმარს. ერთს მაინც დაგავალებ... მცირე ღა დამრჩა... ჯერ მენანებოდა, მერე მრცხვენოდა, მაგრამ ნელ-ნელა მაინც გამოვეთხოვე ჩემ საყვარელ წიგნებს.. დამრჩენ ისეთნი, ურომლისოდაც აღარ შემჩელია ჩემის ნაშრომის დამთვრება და დამრჩა კიდევ უკვდავი შოთა, გულთა საოხათ... როცა მეტის-მეტათ შავი დარდი შემჩყრობს, ავიღებ შოთას, წავიკითხავ რამოდენიმე ტაქს და დავმშვიდდები.. ჩემი მეულე ვერ იმეტებს სიტყვის ჯაღო-ჯარს... წინათაც მითქვამს, ანდერძშიაც მაქვს დაწერილი, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი რჩება შენს უფროს ვაჟს... ოლონდ თუ ჩემი ბებერი ცოცხალი დამრჩეს, ჭადს ნუ დაამაღლი და აი ამ წიგნებს მოუარე... ტყულა ნუ დაატაცებინებ უმეცართ და ბიწიერთ.

— ლმერთმა დაგიფაროს სიკვდილი

— არა, შვილო, მე თვითონ მინდა დიდხანს ვიცოცხლო: ჯერ არ დამიმთავრებია დიდი მატიანე საქართველოსი, მას ზედ უნდა დაერთოს რუქები და ლეოლრაფია .. მსურს აგრეთვე ავსწერო რისიც დამსწრე ვარ .. ხუთი მეფე გამოვიცალე... შენ რომ ცოლი შეირთე — უ, რა ბავში იყავი მაშინ. — მივატოვე სასახლე, მაგრამ მას მერმეთაც არ მასვენებენ.. როცა დასჭირდებათ, მოვლენ, მკითხავენ, მაკითხებენ... სასახლის ამბავი ვიცი .. ქათინაურათ არ გეუბნები — ქალალდის ხომ ველარ წამართმევ — იოხუნჯა მოხუცმა — დიდათ მოხარული ვიყავი, რომ ჩემი კარგის მეგობრის შვილი და ჩემი დისწულის ქმარი დღევანდელ ბოროტებასა შინა არ ეფლება და ამას ყოველთვის მივაწერდი მშობელთა შენთა. აქაც, როგორც ყოველთვის, მართლდება ძველთა ნათქვამი: „კვიცი გვარზე ხტის..”

მოხუცი მართალს ამბობდა. საქართველოს დიდების კარგათ მცირდნეს, აწმყოთი გულ მოკლულს, იმედი ჰქონდა მხოლოდ ახლად გამოჩეუილი აზნაურებისა, რომელნიც თავისი გამჭრიახობით, გამსჯელობით, სისპეტაკითაც კი ბევრათ მაღლი იდგენ მოდუნებულ, სიფლიდეზე და მოტყუებაზე მოანგარიშე დიდებულებზე და მათ მიერ სასაცილოდ აღებულ მეფე-მთავრებზე.

იულონი განცვიფრებით, პატივისცემით და თან შებრალებით შესცეკროდა მოხუცს, რომელსაც მისალმებაც კი დავიწყებოდა და პირველ დანახვისთანავე ისეთ უჩვეულო, ცხოვრებასთან დაშორებულ ლაპარაკს მიჰყო ხელი:

— თქვენს ოჯახში ბევრი უნდა იყოს სიგელ-გუჯრები, მეფეთა ბრძანებანი, რასტურამალნი და მრავალნი მატიანენი... არ შეიძლება რომ მათხოვო?..

— წიგნებს, როგორც გეახლები სახლში, მაშინვე მოგართებეთ, სიკელ-გუჯ-რებს კი... მომიტევეთ .. ეხლა ისეთი დროა, რომ საკუთარ შეიღლაც კი საჩივრად გაგიხდიან, მეშინია მათი დაკარგვა... თუ გამაბედნიერებთ და მობრძანდებით... მე ყმა და თქვენ ბატონი...

— კეთილი, კეთილი, წიგნები აღრევე გამომიგზავნეთ, სიგელ-გუჯრებისთვის
შე თვით გეახლები.

— რაღასთვის გადავდოთ, ბატონი... ხეალვე წამობრძანდით... გაერთობით... დედაც დიდი მოხარული იქნება... თქვენი დის-წული კი გემსახურებათ...

-- გმადლობ, ვიცი პატივისაცემი დედათქვენის სტუმართ მოყვარეობაც, მაგრამ ზეკ მარიამბაა და მივატოვო ოჯახი... -- მოხუცს თანამედროვე ზრდილობა ნებას არ აძლევდა წინადადება დამთავრებია, — ეთქვა კოლიო — უხერხულია...

— იქნებ ქალბატონმა () გამაბეღნიეროს...

— არა, ბატონი იულიონ, მას ცხენოსნობა აღარ შეუძლიან, მომიხუცდა და
რამივათმყოფდა, თანაკვენი წმინდა ზიარებისთვის ემზადება... .

— შემდეგში მაინც მეტნება იმედი...

— მე უსათუოთ ვისარგებლებ თქვენი პურ-ლვინით და ჩემი მეულლე კი—ვე-
კვიბ...

— ურმით რატომ, ბარონო, არ დაიღლება?!

ე, ამ ჩვენ კრიას გზებზე გოგორას თუ აქრიალებ, თორემ ურემი საღილის?! ქართლის გზები რომ იყოს.. ყველაფერი რომ დალოცვილია ამ ქართლში, ჰავაც მშრალი და შეზავებული, ჩვენებურ უუმურიან ქაობს არა ჰგავს... ხტლი გემრიელი და საამო სახილავი; ადამიანნი გულმართალნი და მტკიცენი, მეცნიერნი თავმრაბალნი, ჩვენ რაო კოდვა გაგვიდირთა?

ჩვენი ნეტარხესენებული ზეფის სიკვდილის შემდეგ რომ კანონიერი მემკვიდრის მაგიერ ეს უნიათო გაამეფეს, განა იმიტომ არა, რომ ბურთივით სათამაშოთ ჰყოლოდათ?.. ახლა სარგებლობენ... ჩვენს საცოდავ მეფეს არც გონება აქვს მახვილი და არც ხორცით არის ძლიერი, რომელ საქმეს ვერ არჩევს და იძულებულია მას დაუჯეროს, ვინც რასმე ჩატუტჩუნებს...:

— მაშ ასე დაიღუპება ჩვენი ქვეყანა?

ოტიას გაელიმა... ხაეს მოკიდებულ, მოლუშულ სალკლდეს რომ დასცემს ქარბუქი და წვიმა-თოვლი, ისე ბეჯითად ვერ გამოიყურება, გამოძახილი გამოჭვაბულში ისე მედგრათ ვერ გიპასუხებთ, როგორც მან სთქვა:

— აჲ, ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ, — გვჯობნიდნენ მოხერხებით — დაიღუპნენ; ჩვენ — დავრჩით: ძლიერნი იყვნენ ჯარში რომაელნი — გვძლიეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით; სილამაზის მარად მსახურნი ბერძენი გადაშენდნენ. ჩვენ კი ვართ, როგორც კანდარი სხვა ხეთა შორის... ჩვენ ვაჭრებიც ვართ, მეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაკარბებთ .. ჩვენი დღეც დადგება ოდესმე, უეპველია, მაგრამ განგებას ჯერ არ გადუწყვეტია.

— მაშ რა ვქნათ? რა უშველის ქვეყანას და რა მოგვცემს ოდნავ მყუდრო ცხოვრებას?

ოტია დიდხანს ჩაფიქრებული იყო და ბოლოს ისე მოწყვეტით მოსკრა:

— გადააგდეთ მეფე...

— რაჭის ერისთავს ავყვეთ?

— არა! არა! მაგას ლმერთმა გაშოროსთ: რაჭის ერისთავს უნდა მხოლოდ ისეთი მეფე მოიწვიოს, რომელსაც წერეთლებისა და აბაშიძეების მაგიერ მარტო დაეპატრონოს და სურვილისამებრ ათამაშებდეს...

მოხუცი გაჩუმდა.

— მაშ როგორ? ვერ გავიგე თქვენი აზრი...

— იმოქმედე ისე, როგორც მამა შენი მოქმედებდა თავის დროზე..: დედის მაგალითითაც ისარგებლე, — მცოდნე და გამოცდილ პირთაგანის სწავლა გამოიყენე. იცი შენ რითი ამაღლდა შენი ოჯახი? როდის მიაქცია მტერმა და მოყვარემ განსაკუთრებული უურადღება? მას მერე, რაც დედა შენმა ცხონებულ ბენედიქტე პატრის დაუჯერა და თხრილებით და წყალში დამალულ ჯებირებით გააღმავა ციხის ირგვლივ მდინარე და მდინარეზე გადვა ასალები, ჯაჭვზე დაკიდებული ხილი. თქვენისთანა ციხე საქართველოში ახლა მეფეებსა და მთავრებს არ აქვთ. ასე რომ გამაგრდა ციხე, შემოგეხიზნენ გლეხები, აზნაურებმაც შენს კალთას შემოაფარეს თავი... გაძლიერდი, შვილო. გაძლიერდი, მაგრამ ძლიერება მოახმარე შენს ქვეყანას და სარწმუნოებას... აპატიკ ჩემს ხნოვანებას, აგრე მამა-შვილურათ რომ გელაბარაკები.

— რას ბძანებ?! რას ბძანებ?! თქვენი დარიგება განგებისათ საძებარია, მაგრამ მამა ჩემი მეფის ერთგული იყო ხომ?

— დიახ, მეფის... ნამდვილი მეფის .. მთელის განუყოფელის ერთობილის საქართველოსი, ძლიერის მამის და არა იმერეთის : მპულა მეფის...

— დაწვრილებით მიბრძანე ..

აი რა, შვილო; საქართველო ირგვლივ მტრებითაა გარემოცული... ოს-
მალო, სპარსი, ლეკი, ეხლა მოსკოვიც ძლიერდება. ცალ-ცალკე ქართლი, კახეთი,
გურია, ოდიში ვერ გაუძლებს მოზღვავებულ მტერს .. ნელ-ნელა გვწერწენ, გვა-
ნიავებენ... ხომ უყურებ როგორ თათრდება საქართველოს საუკეთესო ნაწილი
სამცხე, მესხეთი—საშობლო პეტრიშისა, ნიაღაგი სპიზისა, მაგრამ თუ ერთათ ვი-
ქენით, თუ შინაური შფოთი მოისპო, მეფე თუ გვეყოლა ძლიერი და დიდებულ-
თაგან დამოუკიდებელი, არაფერი გვიჭირს .. ღრიო თამარისა და დავით აღმაშენე-
ბელის ისევ განანათლებს ლვითისმშობლის ხევდრ ქვეყანას. საქართველოს მესამედი
ოსმალეთს უპყრია; დიდი ნაწილი სპარსეთმა დაიუფლა; თავისუფალი ჩვენი პატა-
რა იმერეთი-და დარჩა... და ჩვენ უნდა გადაუხადოთ წინათ ჩვენზე გაწეული ამა-
გი საქართველოს დანარჩენ კუთხებს:...

- და მერე ვინ უნდა გააქრთანოს?
 - შენ, მე, ყოველმა ჩვენგანმა...
 - მამა ჩემიც ამ აზრს აღვა?
 - კეშმარიტათ! ლა როცა ვერა რას გახდა, ჩაიკეტა თავის ციხეში...

ტკბილ მუსაიფში ვერ შეამჩნიეს, რომ ფარეშს უკვე შემოეტანა ვახშამი — ამოლესილი ლობიო და დოქტორ ლინო და ქხლა ხელსაბანის წყალით თავს აღგათ.

ხელი დაიბანეს. ვახშამი საჩქაროთ გაათავეს... და ისევ მიეცნენ მუსაიტს. ვერც ის შეამჩნია ოტიამ, რომ სახლში სრულიად დაღამდა, რომ მხოლოთ ერთი პატარა სანთელის სინათლე, ვით უმწეო ჭირისუფლის ლანდი, ნელა ირხეოდა თახში ტა ვერ ანათებდა

იულონი გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო, უჩვეულოს გრძნობდა; - მოხუ... ცისკენ მიიღოტვოდა, უზენაესზე ელაპარაკებოდა... მოსწონდა, და ვერ უჭერდა მხარს... კერძო, საკუთარი მიწიქირი ამძიმებდა... თავში რჩებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ სიტყვები: ყამთა სიავე, მამული, კეთილი... და იულონი მეორე დილამდე სიამოვნებით იტორტმანებდა მოხუცის ცისფერ სიტყვებში, რომ პატივცემულ დიასახლისს მეუღლისთვის არ გამოეგზავნა მოახლე: „უძლებლათ ბრძანდებით, და მოისვენეთო“, რაზედაც ოტიამ გულუბრყვილოთ უპასუხა: „მართალს ბრძანებს, მართალს ბრძანებს, ეხლავე, სტუმარიც შევაწუხე ჩემი მასლაათით... ღამენების“...

იულონს ამავე ოთახში საჩქაროთ დაუგო მოახლეობა

სანამ ყმაწვილური ძილი არ მოერთა, იულონი ფიქრობდა გასპინძელზე, რომელიც ვერ გატეხა ვერც ჟამთა სიავემ, ვერც ომში ცალი ხელის დაკარგვამ, ვერც სილარიბემ და წმიდა ოცნებით გამსჭვალული თავის დარჩენილ ხელს ამოქ-

მედებდა, რათა შთამომავლობისთვის „ერთობილ საქართველოს“ საღიდებლათ გადაეცა ნაფიქრი და ნაგრძნობი... და უნებურათ აღარებდა საკუთარ მამას, რომელიც ბუნდოვანათ ახსოვდა და რომელიც მუდამ გაბურძგნულ, მუდამ თვალ წირპლიანი რალაცას ბუტბუტებდა...

რამ დააჩაჩანაკა, რამ გააპირუტყვა ისე, რომ თვით მე ლვიძლი შვილი დასანახავად ვეჯავრებოდი?

ნაწილი მეორე

1

— ძიძა, მუხლები მაგრათ გაუკარი — შენიშნა თედომ ახალგაზრდა ქალს, რომელიც ბავშვს აკვანში აწვენდა. იულონის ნებართვით თედომ დატოვა.

აბულაძის სახლი ღამით, გზაზე ბატონის ჯოვიდან ერთი კვიცის თავისთვის გატამალვა მოასწრო, ქალ-ბატონებს სასიამოვნო ამბავი ახარა, საჩუქარი მიიღო და ახლა ცდილობდა რძალ-დედამთილის გულის მოგებას.

— გეშინია, თედო, მუხლესუსტი ბატონი შვილის ყოლა? — ღიმილით დაეკითხა ამ შენიშვნაზე უფროსი ქალი

— როგორ არ შემეშინოს, ქალბატონო, ამ წყეულ დროში ვირის ამტან-ლობაა საჭირო და გველის მოხერხება... ვინ იცის, — ღმერთმა კი დაიფაროს! — რა მდგომარეობაში ჩავარდება?

— ასეთი დრო მუდამ ხომ არ გასტანს, სანამ მაგას თავის დრო დაუდგებოდეს ღმერთია მოწყალე, დამშვიდდება ქვეყანა... — ჩაერია მუსაიფში აიღნის ფართო ქვის მოაჯირზე მჯდომი და სვეტზე მიწოლილი ფერ-მკრთალი ქალი, რომელიც შორს სივრცეში დაკარიცვებით იცქირებოდა.

— ჰე, პატარა ქალბატონო, აგერ თრმოც წელს მეც მივაბიჯებ, მარა ოციწლის წინათ ოთხმოცი წლის მამა გადამეცვალა — მისგან გამიგონია, მშეიდობიანი დღე ერთი არ მინახავსო. მეფენი, მთავარი და ღიდებულნი რომ შეიკრიბენ ზავისა და კავშირის შესაკრავათ, ღიდე გიორგის, თქვენს პეპერას — თედომ უფროს ქალისკენ მიიხედა — მგალობელთა გუნდში მეც გახლდიო — ბაბუამ ცხენზე შემიჯდინა და ისე წამიყვანაო — კარგი დამწყები ვიყავიო... განსვენებულმა კათალიკოზმა პარაკლისი გადიხადა სიმშვიდისთვის, სათნოებისთვის, დასწყევლა, შეაჩენა და გადასუა ორგული და მოღალატეო... მარა სამჯერ ტყვეთ ვიყავ წაყვანილი, ოციოდე ჭრილობა. მაქვს და სულ ქართველებისგანაო... და მეც, ქალბატონო, ხომ მოგეხსენებათ, კატის კნუტივით დამათრევდა ხან ერთი თარეში და ხან მეორე...

— ისაა, ის!! — დაიძახა ახალგაზრდა ქალბატონმა და მეორე ქალს მიმართა — თქვენი ვაჟი გეახლებათ ..

— უმტროსმა ქალმა უნებლიერ ხელი კავების გასასწორებლათ ასწია და, ხელში რომ არაფერი მოხვდა, ადგა:

— მე წავალ, შვილო, მოვემზადები შესახვედრათ .. შენც შენს ოთახში წა-
დი, ბიჭუნაც წაიყვანე და იქ შეხვდით... თედო, ლვდელს მოახსენე
ყველანი დაფაცურდენ.

ციხის საყდრის სამრეკლოდან მოისმა ზარის მხიარული რეკა.

ციხის ასაშენებლათ მდებარეობა ბუნებას წინათვე განუმზადებია.

ორი ხევიდან ორი მდინარე ყვირილით, კისკასით, შხეილით და შხეფით გა-
მოდის, ერთმანეთისკენ მიისწრაფვის და სწორეთ იქ, სადაც უნდა შეერთებული-
ყო, ხვდება მაღალ კლდოვან მთას, ერთმანეთს შორდება, ორივე ნამგლის პირი-
ვით იღუნება, გარს შემოუვლის გორას და მხოლოდ მერე სამუდამოთ, ერთმა-
ნეთს ეხვევა.

მდინარეებს ყოველი მხრივ შემოუზღუდავს საქმაო სივრცე... ჭალები, ტყე
და მათ განაკიდა მხარეზე გორაკი. გორაკს კალთები ჩამოკვეტილი აქვს, ისე რომ
სამის მხრიდან კაცის ასვლა ყოვლად შეუძლებელია... მხოლოდ ერთი მხარე ნელ-
ნელა ეშვება... და იქ წყალია, ყელს შეა განგებ ლრმა თხრილია გაყვანილი, რო-
მელზედაც გადებულია ხიდი.

სანამ ამ ხიდს ცხენოსნები მოადგებოდენ, ციხის ეკლესიიდან ზარის მხიარულ-
შა რეკამ იმატა. დარაჯმა სიჩქარით ჩამოუშეა ბოგირი და თოხარიერი მომავალმა
ცხენოსანმა დაქადებით დაუძახა მეციხოვნეს:

— რამდენჯერ მითქვამს შენთვის, სანამ წყალს არ მოადგება მოსული, კარ-
გათ არ შეხედავ, ვინც არის, ხიდი არ გადვა-მეთქი...

— სასახლიდან დაგვიძიხეს, ბატონო...

— მე რასაც გეუბნები ისე ქენი, თორემ აგიწითლებ ზურგს.

— ქე მიცანი, ბატონო?..

— ბევრს ნუ ყედობ... — და ახალგაზრდა ცხენოსანმა ცხენი შეაჩერა — როცა
ვინმე მოვა, დაუცადე თლიად ნაპირზე მოსვლამდის, კარგათ დააკვირდი, თვალი
ხომ არ გატყუებს.. ჰკითხე, რომ ხმაზე მაინც იცნო, თუ ოდნავ საეჭვო კაცია;
უფროს დაეკითხე და მერმე ჩაუშვი ხიდი, თორემ ერთი თოფის სროლაზე ვინ ვის
გავს ლმერთმა იცის... იქნება მოყვარე გეგონოს და მტერი კი გამოდგეს. აბა ას-
წიე ისევ ხიდი.

მეხიდემ ასწია, მაგრამ ხიდი საქმაო სისწრაფით არ ნებდებოდა.

— ეს რაღაა? — ცხენოსანმა მათრახით შეკონჯილ თოკზე მიუთითა.

— ჯაჭვი გაწყდა, ბატონო, და გაკეთება ვერ მოასწრეს...

— მერე თოკი რომ ვინმერ გადასკრას, ხომ თავისუფლათ ითარეშებს მტერი და მოყვარე?

— ვინ გამიბედავს, ბატონო? — ჩაიცინა მეხიდემ.

— კარგია, სულელობას ნუ იგონებ... მჰედლებს დაუძახე ახლავე შეაკეთონ... ხუროს უთხარი ჭოჭონაქი გამოსცვალოს, თუნდაც მთელი ლამე იმუშაოს, ოღონდ მეორეჯენ არ ვნახო ასე მოუწყობელი, თვარა დაგთხრით თვალებს... გესმის?

— კი ბატონო, შენი ჭირიმე!

ციხის კარები ლია იყო

ჭიშკარში შემოსულთ მღვდელი დახვდა.

ცხენოსნები გაღმოხტენ, მოწიწებით ემთხვიენ ჯვარს.

და ყველანი შევიდენ პატარა ეკლესიაში, რომელიც უკვე სავსე დახვდათ.

მცირე პარაკლისი გადიხადეს.

სასახლის მღვდელი მკაფიოდ ვერ კითხულობდა საღვთო წიგნებს, მაგრამ მთლიად არია ანგარიში, როცა მოაგონდა, რომ ყანის მორილოვილ ღობესთან, სადაც ბატონის მოსვლამდის მუშაობდა, ბალახობდენ მისი მეწველი თხები... საქალებოში ამაყათ მდგომა დიდმა ქალბატონმა ბოლოს ვერ მოითმინა და ხმამალლათ, მწყრალის ხმით გაუსწორა:

— მანდ სწერია, „და სულისა შენისათანა?... დაუკვირდი... რა მიგარბენინებს... ჯორს ხომ არ მიაჭინებ..”

მღვდელს შერცხვა, შეჩერდა, ხმას დაუკლო, მაგრამ მორჩილათ განაგრძო...

მხურვალეთ ლოცულობდა ახლად მოსული.

„ლმერთო მიწყალე მე, ცოდვილი — წარმოსთქვა მან, როცა მღვდელმა ლოცვა გაათავა და ჯვარი გამოიტანა სამთხვევათ — „შემინდვე, რომ დღემდე ვერ ავასრულე ალთქმა და შენი უბიწო ხატი ვერ შევამკე ღირსეულად... მიიღე ცოდვილ იულონისაგან მისი ცოლშვილის სადღეგრძელოთა ჯერ ეს მცირე შესაწირავი“ — და ყმაწვილმა ხელიდან წაიძრო ძვირფასი ბეჭედი და ხატის თაროს წინ დადგა.

მერმე გაიხედა უკან და მარჯვნივ და მარცხნივ ყველას თავი დაუკრა:

— გამარჯობა თქვენი, ძმანო და დანო, ერთგულნო ყმანო და მსახურნო.

— ლმერთმა ბატონს გაუშარჯოს, ლმერთმა დღეგრძელი გქმნას შენი ცოლშვილით ღვთის საღიღებლათ, ჩვენდა ნუგეშათ.

იულონმა მღვდელი და მოხუცი შინაყმები ეკლესიაშივე გადაკოცნა, ზოგს გამოელაპარაკა და სახლში შევიდა.

ქალები თავ-თავის ოთახში უცდიდენ.

ორი მხლებელი მაინც არ შორდებოდა.

დედაც კი მოკრძალებით მიესალმა შვილს.

— როგორ ბრძანდები, დედა — ბატონო?

— ვარ, შვილო, როგორც შემფერის კაი შვილის და სამი შვილძა-შვილის
მყოლე ქვრივს...

— የጊዜዎች ሰመስ, ወይም ጥሩዋንግድ, ፍቃድ?

— პირველათ მე მინდოდა მეხარებინა... ფეხმძიმეთაა...

კუმარვილს მოუთმენლობა დაეტყო.

— წადი, შვილო, წადი... დღე და ღამე გელის... პეუინათ იყავი... ამი-
ტომაც გითხარი წინ და წინ, ფეხმძიმეთა-მეთქი... არ ისულელო, მერეც მო-
სწრები... — ეშმაკურის ლიმილით გაუალერსდა დედა.

ପୁରୀରେ କାହିଁଏବଂ ନାହିଁଏବଂ

მხლებლები იქაც მიყვებოდენ, მაგრამ ყმაწვილმა შეაჩერა:

— წალით სახლში...

პატარა სარქმლიდან ჩამოპარული სხივი დიღ თასს არ ყოფნიდა, კუთხეში ძლივს მოსჩანდა დაგებული განიერი და გრძელი ლოგინი; დაშორებით აბრეშუ-
მის სანაქსელა, რომლის წინ იდგა პატარა სამფეხა სკამი და ზედ აბრეშუმის ძა-
ფით ფირტიტი; ეტყობოდა აქ ვილაც მუშაობდა და ეს—ეს არის ამდგარიყო.

თინათინს აკანისთვის დაეყრდნო თითები, მაგრამ წინ გადახრილიყო და მოუთმენლათ ელოდა... ყურადღებათ გადაქცეული ყოველ მცირე ხმაურობას უკვირდებოდა. პატია ორიოდე წლის ბავშვიც, რომელსაც ცალი ხელი დედის კალთისთვის ჩაეტნია და თავი კი მუხლებზე მიეყრდნო, დედის აღელვებით განცვიფრებული უხმოთ იდგა და ისიც ელოდა რაღაც უჩვეულოს.

იულონი ჩქარის ნაბიჯით შემოიჭრა და კოლს გადაეხვიდა.

უყურადღებობით გულნატკენი დედ-მამის კალთებში გახვეული ბავში აჭა-
პეტრლა, ატიტრდა.

— გაჩუმდი, შე გლახა, გაჩუმდი, მამა მოგივიდა.

იულონმა ბავშვი აიყვანა და აკოცა.

ბავშვმა ისეთი ყიფინა მორთო, რომ დედამ, რათა იულონი არ შეეწუხებინა, საჩქაროთ გამოატვა და ლოგინზე დაჯდა.

— აი, შე სულელო, მამა, ბიჭო! რა გალრიალებს? — სიხარულით, ღიმილით
და ალექსით გუბნებოდა ქალი.

იულონშა იარაღი აიხსნა და სასტუმაოთან- დაოვა.

ბავშვიც მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა ხანჯლიანი ლვედის ხელში
მაშის ნება მისცეს.

— რას შვები, როგორ ცხოვრობ?

— ლვთისა და თქვენის წყალობით.

— ეს ვაჟკაცი როგორ ბრძენდება? — ლიმილით დაეკითხა იულონი და ოდნავ
შეანძრია აკვანი.

— მაგი ძალიან კარგათ არის.

იულონმა თინათინს წელზე მოხვია ხელი.

— ეს რაა, როგორ გამსხვილებულხარ?

ქალს ვითომ შერცხვა:

— ჩუ!

— რაღა ჩუ, ღმერთი უყურებს და კაცი! — იოხენჯა იულონმა.

ქალმა ისარგებლა შემთხვევით, გააღო ლოგინის თავში მდგომი საწერებლის
ოდენა ზანდუკი, ამოილო ბაშლაყი და ქმარს უთხრა:

— ნახე როგორ მოგეწონება.

— მშვენიერია... როდის დაისწავლე ასეთი ქარგვა?

— გადიამ მასწავლა.

— სადაა მართლა ჩემი გადია?

— გადაიცვალა საწყალი აგერ სამი თვეა.

— რატომ არ შემატყობინეთ?

— წყლები იყო ადიდებული, ყველა ბონდი წაილო, მგლებიც ისე გახელდენ
მაშინ, რომ ჩვენ ჭიშეართან მოლიოდენ და იქ ღმუოდენ გულსაკლავათ.

— პატივი თუ ეცით მაინც?

— ისეთი წვიმები დაგვესწრო გასვენების დღეს, რომ ხალხი ვერ მოვიდა,
სასაფლაომდის მაინც გავყევი..

იულონს დაეკარგა ნამდვილი დედა, ნამდვილი აღმზრდელი. გადიასგან ნაა-
მდობი რამდენი მომხიბლავი ზღაპარი, რამდენი ლექსი ახსოვს იულონს; რამდენ-
ჯერ დაუძინია მის კალთაში, რამდენჯერ დაუტუქსავს გადიას, და წრფელი გუ-
ლიდან აღმოხეთქილი მწარე სიტყვები უთქვამს... და უცრემლოთ დაუტირებლათ
დავტოვე საწყალი..

თინათინი კი ზანდუკიდან კიდევ და კიდევ იღებდა შეხვეულ ფუთებს და მო-
რიდებულის ალერსით ეუბნებოდა:

— ი დარაიას პერანგები შეგიკერე.. აბრეშუმის წინდები მოგიქსოვე...

— მამზითვებ? ქალი ვარ თუ?

ქალს თითქოს ეწყინაო, უკმაყოფილოთ უთხრა:

— ასე იცი ყოველთვის...

— არა! არა! ძლიერ მაღლობელი ვარ რომ არ დაგვიწყებიფარ... მეც მოგიტანე ცოტა რამ: კრიალოსანი, ქოში... ნახე, ხურჯინში...

— რამ მოგაწყინა, რაა. რომ ერთზე ლაპარაკობ და მფრინავი; ფიქრობ?

— შემაწუხა გადიას სიკედილმა

— მეც ბევრი ვიტირე... დედა ბატონიც ძლიერ შეაწუხა მისმა საკედილმა.

— ყველაფერი, რაც კარგი ჩემში, მან შემათვისა.. მაგრამ კარგი, მივატოვთ.. შენი ამბავი მითხარი, როგორ ცხოვრებდი.

— ძლიერ მოწყენილი ფიჭაფით... შენგან ამბავი არ მოდიოდა, ბავშები ავათა მყოფობდენ.

— რით?

— ჯერ წითელა სკირდათ, მერე მგონი თვალი ეცათ.

— ხომ შეალოცვინე?

— როგორ არა... კაციდან მოვაყვანინე შემლოცაფი... იმდენი ამთქნარა აწყალს, იმდენი... მერე ორივე გამოკეთდა...

— შენებს არ უნახვიხარ?

— არა.

— მაშ სულ მარტო-მარტო ატარებდი დროს?

ქალმა ნიშნათ თანხმობისა აღარაფერი უპასუხა.

იულონმა ხელი მოხვია, გულზე მიიკრა და აკოცა.

— აწი ხომ დიდ ხანს დარჩები სახლში?

— არ ვიცი ღმერთმანი! მგონი, ისევ მალე მომივა წასვლა.

— და ისევ მარტო უნდა დავრჩე?

— დედა იქნება შენთან.

— კი მარა დედა... ბატონი!

— შენ უსათუოდ ტოლი გინდა? მაგიერათ სანამ აქ დავრჩები, სულ ნადიმებს გაგიმართავ, ნარდს გეთამაშები, სამწყერესაც წაგიყვან... ხომ შეგიძლია აგრე სათიბამდის ჩამოსვლა?

— თუ დედა ნებას მომცემს, კი...

— მოგცემს, მოგცემს ნუ გეშინია და ქვიფს კი ხვალვე გაგიმართავ.

— არ მინდა, არა! მერე იყოს, ჯერ მიიხედ-მოიხედე ოჯახში!..

— იმასაც მოვესწრებით — ეშმაკურის ღიმილით უთხრა იულონმა.

— მაგისთვის არ გეუბნები ღმერთმანი — დარცხვენით უპასუხა ქალმა — მარა ჯობია ჯერ შინაურებში მარტო ვიყოთ, მერე კი დავპატიუოთ სტუმრები.

იულონს უკვე უნდოდა დათანხმებოდა, მაგრამ მოაგონდა მწიგნობარის სი-

ტყვები და გაიფიქრა, არა საქმეს ეხლავე უნდა შეუდგე, ვინ იცის როდის მომინდება სახლიდან წასვლაო და დაიუინა:

— არა ხვალ.

— ერთს არ მაალერსებ შენს თავს მაინც?

— ღამ-ღამობით!.. — ჩაუფუჩუნა ცოლს და წამოდგა.

— რა ქვიდა გადია? დაეკითხა იულონი.

— არ გცხვენია? შენი გამდელის სახელი აღარ გახსოვს? — ღიმილით და თან გაკვირვებით უპასუხა თინათინმა.

— ვისგანაც კი გამიგონია, ყველა გადიას ეძახდა და საიდან მემახსოვრებოდა მისი სახელი

— მარიამი, ბეჩა!

— ჰო, ახლა კი გამახსენდა. კიდევ უკეთესი, ხვალ ბარელამ გადიას აღაპსაც გადავიხდი... თედო, — გადაჭრით დაიძახა იულონმა.

თედო მალე მოვიდა.

— აბა, თედო, ხვალ კაი ნადიმი უნდა გაგვიმართო.

— თქვენი ნებაა ბატონო...

— არა, ისე, ჩვენ რომ გვეკადრება და ჩვენს უკეთესაც!..

— რა დიდი ამბავია, ბატონო: ღვინო გვაქვს, ღვთის წყალობით, და პური.

— აბა შენ იცი, ახლავე გააგზავნე თინათინის დელულეთში კაცი, მოიკითხოს ჩემ მაგიერ და ხვალისთვის დამიპატიულს; მეორე კაცი ჩემს სახლი-კაცებს გაუგზავნე; გააგებინე ყველა ჩემს ყმასა და საბატონოს მოვიდნენ ისე, უძლვნოთ, ხელ-ცარიელი

— მაგდენს ვერ მოვასწრებთ, ბატონო, ბევრი ხალხი იქნება და შევრცხვებით

— ო, ნუ დამიწყებ ახლა... ახლავე ჩაანთებიე თორნე... დღესვე დაკალი ძროხა და ცხვრები; კალმახზე არ დაგავიწყდეს შიმაშვილებს შეუთვალე; აქ კი წისქვილის სათავე გადაუშვი, ხომ არავის უნადირნია იქ?

— არა, ბატონო! რავა გვეკადრება? ვინ გაბედავდა?

— დანარჩენს ხვალაც მოასწრებ.

— კაი, ბატონო, რასაც მოვასწრებ ხომ მოვასწრებ და...

— ა, ა, მაგისთანები არ იყოს... სადილი უნდა იქნეს ისეთი, რომ რაჭის ერისთავს არ ქონდეს... მიხედე ყუა სქელები, ლავაშები... ჰო, ისიც არ დაგავიწყდეს, ხვალ მინდა საწყალი გადიას აღაპი გადავიხდო... ჭიშკრები დაალებიე; თუ სადმე მათხოვრები და გლახაკები გეგულებოდეს, დოუბახე... მღვდელს უთხარ უწიროს...

თელომ თავი დაღუნა და გავიდა.

— ახლა კი საღილი გვაჰქამე! — მიაძახა იულონმა.

მზე ჩავიდა: ბინდ ბუნდი ჩამოწვა. ლიდი ქალბატონი აღსარების შემდეგ სახლ-რენდებოდა! იულიანს შეხვდა.

— აბა, შეილო, წავიდეთ ჩემს ოთახში და იქ მიამზე სასახლის ამბეგი.

— ბატონი თუ ზიარებას აპირებ?.. — შენიშვნა იულონმა.

— არათერია, ალსარება ავილე, მაგრამ თუ კიდევ ვცოდე, ხვალ დილას დაუძახებ მღვდელს... როგორ მოეწყვე?... — რას ფიქრობს და რას აპირებს — ბატონი მეფე?

— მეფის საქმე ძლიერ ცუდათაა, დედა; ვარდ-ციხეშიაც ვერ წასულა, ეშინია არ მომკლან გზაშით: ქუთაისის ციხე ხომ კათალიკოსს უჭირავს, და, მგონი, შეამჩნევინეს, რომ მისი სტუმრობა არ იქნება სასიამოვნო... ისე პაპანაქებაა... სასახლის ქალებს დაერია მუკელა, კაცებს კი ციხება, მარა რა ქნან? ქუთაისს ვერ შორდებიან?..

— როგორ ბრძანდება ჩვენი მზეთუნახავი დედოფალი?

დელა—შვილი დასხვენ ოთახში.

— რათ დასკინი, დედა, დედოფლალს? კარგი ქალია!

— ლმერთშა დამიტაროს!.. დედოფლალს რათ დაუსკინებ, ისე ვხუმრობ, შეილო... .

— არა, დედა, შეგატყვე დღეს საღილზედაც: მეფეზედაც უკმაყოფილო იყვნით და დედოფალსაც გადაჰკარით... მაგრამ ყველაფერი იმ უნამუსო არჩილის ბრალია...

— არ ვიცი, შენ რა შემაჩნიე, მე კი სწორეთ იმიტომ გამოვიწვიე ჩემს
ოთახში, რომ მეკითხა, თუ რას ერჩი არჩილს?.. დღეს ისე გააფირებული ლაპა-
რაკობდი...

— မာრတာလော, ဇုဇာ၊ မှု ဘွဲ့ မပေးခဲ့..

— რატომ? რისთვის? რა დაუშავებია?

— წინათავს მძღოლდა, დედა, და ეხლოა რათ გიკვირს?

